ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის ოქმი

ოქმი N 2

30 იანვარი, 2024 წელი

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის ოქმი №2

ქ. ხონი

30 ივნისი, 2024 წელი

12 საათი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:
საკრებულოს თავმჯდომარე: ვალერი ბახტაძე.
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გელა ჩოგოვაძე.
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: კობა კუბლაშვილი.
ბიუროს წევრები:
ზურაბ მიქაძე
ზაზა ვაშაკიძე
გურამ ბახტაძე
ზაზა რუხაძე

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. **ხონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ;**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი: ხონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ. ბიუროს წევრებს გააცნო **საკრებულოს თავმჯდომარემ ვალერი ბახტაძემ.** ბიუროს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ დაამტკიცა 2024 წლის 31 ივნისის საკრებულოს მორიგი სხდომის შემდეგი დღის წესრიგი:

1. ხონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ;
მომხსენებელი: ლევანი ჩიხლაძე - მერიის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი
2.ხონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ;
მომხსენებელი: ამირან კინწურაშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი
3.საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ;
მომხსენებელი: ამირან კინწურაშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი

4.ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2024 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ;
მომხსენებელი: მაია კალანდაძე - ეკონომიმის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის განყოფილების უფროსი
5.ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2024 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ;
მომხსენებელი: მაია კალანდაძე - ეკონომიმის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის განყოფილების უფროსი
6. ხონის მუნიციპალიტეტის კუთვნილი უძრავი ქონების, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის“ გადაცემაზე ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;
მომხსენებელი: მაია კალანდაძე - ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის განყოფილების უფროსი
7.„ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა სარგოების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის #17 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
მომხსენებელი: ვალერი ბახტაძე - საკრებულოს თავმჯდომარე
8..„ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.
მომხსენებელი: ვალერი ბახტაძე - საკრებულოს თავმჯდომარე.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ვალერი ბახტაძე

სხდომის მდივანი: შორენა ჩანქსელიანი